



**თვითმმართველი თემი
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 58

2014 წლის 13 ნოემბერი

2014 წლის რეგიონული განვითარების პროექტების ფონდიდან დაფინანსებული თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების ტენდერებიდან მიღებული ეკონომიის შედეგად დარჩენილი თანხით თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ იყალთოში სკვერის მოწყობის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 16-ე მუხლის მესამე ნაწილის და ამავე კოდექსის 24-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად,

1. თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო თანახმაა 2014 წლის რეგიონული განვითარების პროექტების ფონდიდან დაფინანსებული თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების ტენდერებიდან მიღებული ეკონომიის შედეგად დარჩენილი თანხით წარმოდგენილი სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ იყალთოში მოეწყოს სკვერი.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია ოფიციალურად გაცნობიდან 1 თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

საკრებულოს თავმჯდომარე

პაატა გიორგობიანი